სამეცნიერო-პრაქტიკული ელექტრონული ჟურნალი

გალასაცალეში

ნომერი №5

- ოფიციალური დოკუმენტები
- დაბეგვრის თეორია და მეთოდოლოგია
- დაბეგვრის პრაქტიკა
- ფინანსები, აღრიცხვა და აუდიტი
- ხელშეკრულებები საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობაში კომენტარებით
- კითხვა-პასუხები

2017

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფინანსური და საქართველოს ინფორმაციის ცენტრი

გთავაზობთ:

- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების სქემების დამუშავებას და ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვის აწყობას ახლადშექმნილ და მოქმედ კომპანიებში
- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებას ხელშეკრულებით
- კომპანიის საქმიანობის ფინანსურ ანალიზს და ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებების დაგეგმვას
- ექსპორტ-იმპორტის საგადასახადო კონცეფციის შემუშავებას

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

gamomcemeli: Sps `biznes inteleqti~
Publisher: Business Intellect Ltd.

UDC (uak) 336.2+336.14(051.2)
g-145

referirebadi da recenzirebadi samecniero-praqtikuli el.Jurnali
`gadasaxadebi~
registrirebulia #04-06/65, 10.08.2009 / **Registred** #04-06/65, 10.08.2009
Referred and reviewed scientific & practical e.magazine `Gadasakhadebi~

mTavari redaqtori:
daviT jalaRonia,
sruli profesori
Chief Editor:
David Jalaghonia, Full Professor

pasuxismgebeli mdivani
marine xubua, asocirebuli profesori
Executive Secretary:
Marine Khubua, Associated Professor

redaqtori: madona gelaSvili
asocirebuli profesori
Editor:
Madona Gelashvili, Associated Professor

teqnikuri redaqtori:
nazi gomelauri
Technical Editor: Nazi Gomelauri
koreqtori: rusiko papaskiri
asocirebuli profesori
Corrector:
Rusiko Papaskiri, Associated Professor

marketolog-konsultanti:
devi Sonia, asocirebuli profesori
Marketing Consultant:
Devi Shonia, Associated professora

iurist-konsultanti:
elgujaqavTaraZe, asocirebuli profesori
Legal Advisor:
Elguja Kavtaradze, Associated Professor

saredaqcio kolegia
EDITORIAL BOARD
Tavmjdomare: profesori daviT jalaRonia
Chairman: **professor David Jalagonia**

ekonomikur mecnierebaTa doqtorebi, profesorebi:
Doctors of Economics, Professors:

zaur amilaxvari	Zaur Amilakhvari
rezo gvelesiani	Rezo Gvelesiani
simon gelaSvili	Simon Gelashvili
irma dixaminjia	Irma Dikhaminjia
kaxaber eraZe	Kakhaber Eradze
SoTa veSapiZe	Shota Veshapidze
larisa TakalanZe	Larisa Takalandze
zurab lipartia	Zurab Lipartia
iakob mesxia	Iakob Meskhia
vladimer Rlonti	Vladimer Ghlonti
zaira RuduSauri	Zaira Gudushauri
Temur Sengelia	Temur Shengelia
mixeil CikvilaZe	Mikheil Chikviladze
nodar xaduri	Nodar Khaduri
elene xarabaZe	Elene Kharabadze
rezo xarebava	Rezo Kharebava
nanuli ZimceiSvili	Nanuli Dzimceishvili

anJelika krutova - xarkovi, ukraina
Angelica Krutova - Kharkiv, Ukraine
kerimovi elsever nariman oRli - baqo, azerbaijani
Kerimov Elsever Nariman Ogli - Baku, Azerbaijan

el. Jurnali ,,gadasaxadebi~
registrirebulia
s.k. 404941300
E. Magazine "GADASAKHADEBI"
(Taxes) is registered
ID code: 404941300

mimRebi: Sps 'biznes inteleqti~
mimRebis IBAN angariSis #GE30BR0000010679562042
mimRebis banki: s.s banki 'respublika~
bankis BIC kodi: REPLGE22

Beneficiary's name: **Business Intellect Ltd**
Beneficiary's IBAN NO: GE30BR0000010679562042 (USD)
Beneficiary Bank: BANK "REPUBLIC" TBILISI, GEORGIA
Corespondent acc. No: 00195464
SWIFT: REPL GE 22
T/Fax: 00995 32 2307851 , mob/Mob:00995 5 93 79 10 77

redaqciis azri SesaZloa ar emTxveodes avtorisas. statiaSi moyvanili faqtebisa da monacemebis sizusteze pasuxismgebelia avtori.

Author's opinion may differ from the one of the Editorial Board. Accuracy of the facts and data provided in the article is the responsibility of author

gamodis TveSierTxel, fasi 4 lari / MONTHLY MAGAZINE, PRICE: GEL 4 **ISSN 1987-9156**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

sarCevi / Table of contents

oficialuri dokumentebi / Formal documents

oficialuri dokumentebi ---------- 5-46

instruqcia / **Instuctions** ----------47-50

Semosavlebis samsaxuris brZaneba / **Revenue Service command** ----
---------- 51-56

gadasaxadebi #5, 2017

GADASAKHADEBI #5, 2017

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №41, 30.12.2004, მუხ. 213) მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ცხოველთა სამყაროს რესურსებისათვის მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება ცხოველთა სამყაროს ობიექტების საქართველოში გავრცელებულ სახეობათა მიხედვით, ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად:

ცხოველთა სამყაროს ობიექტთა ჯგუფები (ცხოველთა სამყაროს ობიექტთა სახეობების დასახელებათა ჩათვლით)	მოსაკრებლის ოდენობა (ძუძუმწოვრებისა და ფრინველებისათვის – სახეობის ერთ ინდივიდზე, თევზებისა და წყლის ცხოველებისათვის – ერთ ტონაზე) ლარებში
I ჯგუფი (დათვი) *	1700
II ჯგუფი (გარეული ღორი)	100
III ჯგუფი	
ა) შველი	500
ბ) ირემი *	1700
IV ჯგუფი (მგელი)	100
V ჯგუფი	
ა) ტურა	15
ბ) მელა	50

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გ) მაჩვი	20
დ) კვერნა	20
ე) ენოტისებური ძაღლი, ენოტი, ნუტრია	1
ვ) ტყის კატა	10
VI ჯგუფი (კურდღელი)	2
VII ჯგუფი	
ა) ჯიხვი *	1700
ბ) არჩვი *	1350
გ) შურთხი, კასპიური შურთხი *	220
დ) ნიამორი *	8350
VIII ჯგუფი (სხვა ძუძუმწოვრები)	2
IX ჯგუფი (ხოხობი)	15
X ჯგუფი	
ა) კაკაბი, გარეული ბატი	4
ბ) გარეული იხვი	1
გ) დურაჯი	1
დ) გნოლი	1
ე) როჭო, კავკასიური როჭო *	1
XI ჯგუფი (სხვა ფრინველები)	1
XII ჯგუფი (მტკნარი წყლის თევზები და სხვა ჰიდრობიონტები)	
ა) სალამურა, გოჭალა, გველანა, ტაფელა, ჯუჯა ქაშაპი, კვირჩხლა	5
ბ) ციმორი, თეთრულა, თაღლითა, ფრიტა, შავწარბა	10
გ) კარჩხანა, ღორჯოსებრნი, ფარფლწითელა (ფრთაწითელა)	15
დ) ქორჭილა, ნაფოტა (ჩვეულებრივი, მტკვრის, მორევის *), ქაშაპი (კავკასიური), კაპარჭინა, ვიმბა, თრისა (შამაია), ჭაფალა	25
ე) წერი (ქარიყლაპია), სქელშუბლა (თეთრი და ჭრელი), რიპუსი	65
ვ) სიგი, პელიადი, ამური, ჭერეხი, ტობი, წვერა, კობრი (გოჭა), გუწუ (ლოქორია), ჭანარი, მურწა, ხრამული	80
ზ) მდინარის კიბოები	150
თ) ღლავი (ლოქო), ფარგა, ცისარტყელა კალმახი, პალია	200
ი) კალმახი (მდინარის/ტბის) *	1500
კ) საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სხვა თევზები	250

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ლ) სხვა მტკნარი წყლის თევზები და სხვა ჰიდრობიონტები	100
XIII ჯგუფი (ზღვის თევზები და სხვა ჰიდრობიონტები)	
ა) ზღვის ნაწლავღრუიანები, სავარცხლურები	0,5
ბ) რაპანა	3
გ) ზღვისფინიისებრთა ოჯახი, თაგვთევზისებრთა ოჯახი	10
დ) ქარსალა, ათერინა, ჭიჭყინა	15
ე) ქაფშია, ზღვის მელა, ზღვის კატა, სარდინა, სარდინელა, ღიპა ქაშაყი (პალიასტომის ტბის და აზოვის ზღვის), მწვანულა, ზღვის კარჩხანა, სმარისი, ზღვის ურჩხული, ვარსკვლავთმრიცხველი (ზღვის ძროხა), გველმსგავსა (ოფიდიონი), ზღვის ღლაბუტა, ღორჯოსებრნი, სკორპენა (ზღვის ჩიქვი), ზღვის ენა, ქვის ქორჭილა, მიდია და სხვა ორსაგდულიანი მოლუსკები	25
ვ) სტავრიდა, მერლანგი	45
ზ) კეფალისებრნი (სინღილი, ლობანი, პილენგასი და სხვა), პელამიდა, შავი ზღვის ქაშაყი, სკუმბრია, ქიცვიანი ზვიგენი (კატრანი)	65
თ) ხონთქარა (ბარაბული), მუქი ნაგვერდალა (მუქი სციენა), კამბალა-გლოსა	80
ი) სარგანი (ნემსა), ლუფარი	100
კ) ცხენთევზა, ნემსთევზა, გარნელი (კრევეტი) და სხვა ათფეხა კიბოები, ზღვის მამალი	150
ლ) ღია ნაგვერდალა (ნათელუმბრინა), ლავრაკი	200
მ) კამბალა-კალკანი, გველთევზა	250
ნ) სხვა ზღვის თევზები და სხვა ჰიდრობიონტები	100
XIV ჯგუფი (გამსვლელი თევზები)	
ა) შავი ზღვის ორაგული *	3000
ბ) ზუთხისებრნი *	5000
XV ჯგუფი (მცირე ვეშაპისებრნი)	
ა) აფალინა *	25000 (ერთეულის ფასი)
ბ) თეთრგვერდა დელფინი	2500 (ერთეულის ფასი)
გ) ზღვის ღორი *	1000 (ერთეულის ფასი)

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

შენიშვნა: ცხრილში „*“ ნიშნით აღნიშნულია საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი ცალკეული სახეობები.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

20 სექტემბერი 2017 წ.

N1286-Iს

საქართველოს კანონი

„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №19-20, 30.07.96, გვ. 11) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) საქართველოს სამინისტრო, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

20 სექტემბერი 2017 წ.

N1287-Iს

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №456

2017 წლის 6 ოქტომბერი, ქ. თბილისი

სურსათის ლოტის აღნიშვნის წესის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული სურსათის ლოტის აღნიშვნის წესი.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი გიორგი

კვირიკაშვილი

სურსათის ლოტის აღნიშვნის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

სურსათის ლოტის აღნიშვნის წესი (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს პირობებს, რომლებიც სურსათის ლოტის იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა.

მუხლი 2. რეგულირების სფერო

1. ამ წესით განსაზღვრული მოთხოვნები ვრცელდება სურსათზე, რომლისგანაც, საჭიროების შემთხვევაში, ხდება ლოტის ფორმირება.

2. ეს წესი არ ვრცელდება:

ა) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების პროდუქტზე, რომელმაც დატოვა სათავსი და შესაბამისად:

ა.ა) იგზავნება მწარმოებელ საწარმოში;

ა.ბ) გაყიდული ან/და მიწოდებული იქნა დროებით შესანახ, მოსამზადებელ ან შესაფუთ საწარმოში;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა.გ) შეგროვებულ იქნა მომზადების ან გადამუშავების ადგილზე დაუყოვნებლივ შერევისათვის;

ბ) სურსათზე, რომლის შეფუთვა ხდება საცალო ვაჭრობის პუნქტში მომხმარებლის თხოვნით ან წინასწარ დაფასოებულია დაუყოვნებლივ (უშუალოდ) რეალიზაციის მიზნით;

გ) შეფუთულ ან ტარაში მოთავსებულ სურსათის შეფუთვაზე ან ეტიკეტზე, თუ მისი ყველაზე დიდი ზედაპირის ფართობი 10 სმ^2-ზე ნაკლებია;

დ) ნაყინის ცალკეულ ულუფაზე.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ნაყინისათვის ლოტის აღნიშვნა ხდება ნაყინის ცალკეული ულუფების გაერთიანებულ, მთლიან შეფუთვაზე.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესის მიზნებისათვის გამოიყენება ტერმინები, რომელთაც აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ლოტი – პრაქტიკულად მსგავს პირობებში წარმოებული, დამზადებული/მომზადებული ან შეფუთული, გასაყიდად განკუთვნილი ერთგვაროვანი სურსათის პარტია;

ბ) ლოტის ნომერი– უნიკალური ნომერი, რომელიც ლოტის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა.

2. ამ წესის მიზნებისათვის ასევე გამოიყენება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით განსაზღვრული ტერმინები, თუ ამ წესით სხვაგვარად არ არის დადგენილი.

მუხლი 4. მოთხოვნები ლოტის ფორმირების მიმართ

1. თუ გასაყიდად განკუთვნილი ერთგვაროვანი სურსათის პარტია ბაზარზე განთავსებისათვის/მიწოდებისათვის ფორმირებულია ლოტად, სავალდებულოა აღნიშნულის შესახებ ეტიკეტზე მითითება.

2. ლოტის აღნიშვნა და იდენტიფიცირება ხდება ლოტის ნომრის მიხედვით.

3. ლოტის აღნიშვნა ეტიკეტზე ხდება ლათინური ასო „L“-ით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ლოტის ნომრის ნათლად გარჩევა შესაძლებელია ეტიკეტზე განთავსებული სხვა სიმბოლოებისაგან.

4. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელია ბიზნესოპერატორი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

5. თუ სურსათი წინასწარ დაექვემდებარა დაფასოებას, ლოტის აღნიშვნა და, შესაბამისად, ლათინური ასო „L“ გამოსახული უნდა იქნეს სურსათის წინასწარ დაფასოებული ერთეულის ზედაპირზე ან ეტიკეტზე.

6. თუ სურსათი არ დაექვემდებარა წინასწარ დაფასოებას, ლოტის აღნიშვნა და, შესაბამისად, ლათინური ასო „L“ გამოსახული უნდა იქნეს შეფუთვაზე ან ტარაზე ან თუ შეუძლებელია მისი ამგვარი აღნიშვნა – თანმხლებ დოკუმენტში.

7. ლოტის აღნიშვნა და იდენტიფიცირება უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ იყოს ადვილად დასანახი, გასაგები, შეუძლებელი უნდა იყოს მისი წაშლა და შეცვლა.

8. ლოტის აღნიშვნა არ არის სავალდებულო სურსათზე, თუ სურსათის ეტიკეტზე არაკოდირებული აღნიშვნებით (შტრიხკოდი ან სხვ.) მითითებულია „ვარგისიანობის მინიმალური ვადა“ ან „გამოიყენება .....მდე“ კონკრეტული დღისა და თვის მითითებით.

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №460

2017 წლის 10 ოქტომბერი, ქ. თბილისი

„საქართველოს სასაზღვრო ზოლსა და საბაჟო კონტროლის ზონებში სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელების ტექნოლოგიური სქემისა და სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №428 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს სასაზღვრო ზოლსა და საბაჟო კონტროლის ზონებში სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელების ტექნოლოგიური სქემისა და სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №428 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 11/01/2011, 480180000.10.003.016169) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „საერთაშორისო მიმოსვლისათვის გახსნილი საზღვაო პორტების, აეროპორტების, სახმელეთო სასაზღვრო გადასასვლელების – სასაზღვრო ინსპექციის პუნქტების ნუსხა, სადაც ხორციელდება სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლი“ (დანართი №3) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„დანართი №3

საერთაშორისო მიმოსვლისათვის გახსნილი საზღვაო პორტების, აეროპორტების, სახმელეთო სასაზღვრო გადასასვლელების – სასაზღვრო ინსპექციის პუნქტების ნუსხა, სადაც ხორციელდება სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლი

საზღვაო პორტები, აეროპორტები, რკ/გ სადგურები,სახმელეთო გადასასვლელები	**საბაჟო გამშვები პუნქტი**
საზღვაო ტრანსპორტზე	
„ფოთისა და ყულევის პორტები“	„ფოთისა და ყულევის პორტები და ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“
„ბათუმის პორტი“	„ბათუმის პორტი“
საჰაერო ტრანსპორტზე	
„თბილისის აეროპორტი“	„თბილისის აეროპორტი და თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“
„ქუთაისისა და სენაკის აეროპორტები“	„ქუთაისისა და სენაკის აეროპორტები და ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული და ქუთაისის ჰუალინგის თავისუფალი ინდუსტრიული ზონები“
„ბათუმის აეროპორტი“	„ბათუმის აეროპორტი“
სარკინიგზო ტრანსპორტზე	
„გარდაბანი“	„გარდაბანი“
„სადახლო რკინიგზა“	„სადახლო-სარკინიგზო“
„კარწახი-ახალქალაქი სარკინიგზო“	„კარწახი-ახალქალაქი სარკინიგზო“
საავტომობილო ტრანსპორტზე	
„წითელი ხიდი“	„წითელი ხიდი“
„გუგუთი“	„გუგუთი“
„სადახლო“	„სადახლო-საავტომობილო“
„ლაგოდეხი“	„ლაგოდეხი“
„ვალე“	„ვალე“
„ნინოწმინდა“	„ნინოწმინდა“
„ყაზბეგი“	„ყაზბეგი“
„სარფი“	„სარფი“
„მტკვარი“	„მტკვარი“
„ახკერპი“	„ახკერპი“
„სამთაწყარო“	„სამთაწყარო“
„კარწახი“	„კარწახი“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2017 წლის 5 ოქტომბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №461

2017 წლის 10 ოქტომბერი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურებისგაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში (სსმ, 2010 წელი, მუხლი 538) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. **დადგენილების**:

ა) 1^4 **მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილებებისა და გაფორმების ეკონომიკური ზონების მიერ სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების 54-ე, 57-ე, მე-60 – 64-ე და 86-ე გრაფებით, აგრეთვე საბაჟო გამშვები პუნქტის „ფოთისა და ყულევის პორტები და ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის“ მიერ 59-ე გრაფით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელებისას, მომსახურების საფასური გადახდილი უნდა იქნეს მომსახურების გაწევიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში.“;

ბ) 1^{10} **მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„**მუხლი** 1^{10}

1. საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილებებსა და გაფორმების ეკონომიკურ ზონებში სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების 54-ე და 82^2 გრაფებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისათვის დადგენილი ტარიფები ორმაგდება საქონლის არასამუშაო დროს დეკლარირების განხორციელების შემთხვევაში, გარდა:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) „ფოთის“ გაფორმების ეკონომიკური ზონის მიერ მომსახურების გაწევისა;

ბ) ქ. ბათუმში, ბაქოს ქ. №11-ში მდებარე გაფორმების ადგილზე „ბათუმის“ გაფორმების ეკონომიკური ზონის მიერ გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის ან კონტეინერით შემოტანილ სატრანსპორტო საშუალებაში განთავსებული საქონლის გაფორმების მიზნით საბაჟო დეკლარაციის შევსებისა.

2. საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილებებსა და გაფორმების ეკონომიკურ ზონებში (ფოთის გაფორმების ეკონომიკური ზონის გარდა) სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების 57-ე, მე-60 – 64-ე გრაფებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისათვის დადგენილი ტარიფები ორმაგდება მომსახურების გაწევის მოთხოვნით არასამუშაო დროს მიმართვის შემთხვევაში.

3. არასამუშაო დროს მომსახურების გაწევისათვის დადგენილი ტარიფები არ ორმაგდება იმ პირისათვის, რომელსაც „ოქროს სიის“ მონაწილის სტატუსი მინიჭებული აქვს სსიპ – შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

4. ამ დადგენილების მიზნებისათვის, საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილებებსა და გაფორმების ეკონომიკურ ზონებში არასამუშაო დროა, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 18 საათის შემდეგი პერიოდი, შაბათს – 15 საათის შემდეგი პერიოდი, კვირას – 14 საათის შემდეგი პერიოდი და უქმე დღეები.“.

2. **დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“**:

ა) **68-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„68	„თბილისის“ გაფორმების ეკონომიკურ ზონაში (კონტეინერით შემოტანილ სატრანსპორტო საშუალებაში განთავსებული საქონლის), „ბათუმის“ გაფორმების ეკონომიკურ ზონაში (ქ. ბათუმში, ბაქოს ქ. №11-ში მდებარე გაფორმების ადგილზე), „ფოთის“ გაფორმების ეკონომიკურ ზონაში, საბაჟო გამშვები პუნქტის „ფოთისა და ყულევის პორტებსა და ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში“, საბაჟო გამშვები პუნქტის „ბათუმის პორტში“ ან საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილებებში გამარტივებული საბაჟო დეკლარაციით გაცხადებული 3000 ლარამდე საბაჟო ღირებულების საქონლის გაფორმება		ერთ საბაჟო დეკლარაციაზე – 20 ლარი“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) 83-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„83	კონტეინერით/ავტოსატრანსპორტო საშუალებით შემოტანილი, საქართველოში არარეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში რეგისტრაცია საბაჟო გამშვები პუნქტის „ბათუმის პორტის“ ან საბაჟო გამშვები პუნქტის „ფოთისა და ყულევის პორტებისა და ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის“ ან საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილებების ან გაფორმების ეკონომიკური ზონის მიერ		50 ლარი“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2017 წლის 5 ოქტომბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №467

2017 წლის 19 ოქტომბერი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში (სსმ, 2010 წელი, მუხლი 538) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. **1^{11} და 1^{13} მუხლები ამოღებულ იქნეს.**

2. **დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“ მე-14 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„14	საგადასახადო ორგანოს მიერ წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემა (გარდა 48-ე და 49-ე გრაფებით გათვალისწინებული შემთხვევებისა)	90 კალენდარული დღე	10 000 ლარი (გარდა რეზიდენტი ფიზიკური პირებისა); რეზიდენტი ფიზიკური პირებისათვის – 5 000 ლარი. **შენიშვნა:** ამ გრაფის მიზნებისათვის, ფიზიკური პირის რეზიდენტობა განისაზღვრება წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის თაობაზე მოთხოვნის წარდგენის წინა კალენდარული (საგადასახადო) წლის მიხედვით“ “.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 2

დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტი არ ვრცელდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებული „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ინსტრუქციის მე-19 მუხლით გათვალისწინებული წესით სსიპ – შემოსავლების სამსახურში 2018 წლის 1 იანვრამდე წარდგენილ წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის მოთხოვნებზე.

მუხლი 3

1. დადგენილება, გარდა პირველი მუხლის მე-2 პუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №472

2017 წლის 26 ოქტომბერი, ქ. თბილისი

„სსიპ – დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 ივლისის №357 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სსიპ – დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 ივლისის №357 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 26/07/2017, 040030000.10.003.020066) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ – დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს დებულების“ მე-9 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულების მიზნით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, გამოსცემს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს – ბრძანებას, ხოლო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას – ასევე ბრძანებას;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №475

2017 წლის 27 ოქტომბერი, ქ. თბილისი

სატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაციის მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის 101 პუნქტის, 63-ე მუხლის 11 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული სატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაციის მოწმობის ფორმა.

მუხლი 2

ამ დადგენილების ამოქმედებამდე გაცემულ „სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მოწმობისა და სატრანსპორტო საშუალებათა სარეგისტრაციო მოწმობის ნიმუშების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 22 ნოემბრის №955 ბრძანებულების პირველი პუნქტით დამტკიცებული ნიმუშის სატრანსპორტო საშუალებათა სარეგისტრაციო მოწმობებსა და „სატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაციის მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 10 იანვრის №12 ბრძანებულების პირველი პუნქტით დამტკიცებული ნიმუშის სატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაციის მოწმობებს იურიდიული ძალა შეუნარჩუნდეს მათი მოქმედების ვადით.

მუხლი 3

2006 წლის 1 აპრილამდე გაცემულ სატრანსპორტო საშუალებათა სარეგისტრაციო მოწმობებს იურიდიული ძალა შეუნარჩუნდეთ 2018 წლის 1 იანვრამდე.

მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 1 ნოემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

სატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაციის მოწმობის ფორმა

მუხლი 1. სატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაციის მოწმობა

1. სატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაციის მოწმობა (შემდგომში – რეგისტრაციის მოწმობა) მზადდება ლამინირებული პოლიკარბონატის (შეურეველი, სუფთა პოლიკარბონატი) ფირფიტისაგან, მრავალშრიანი ტექნოლოგიით, ბარათის ფირფიტის გამოყენებით, დაწყობილი და ლამინირებული ერთიან მონოსხეულად სიმხურვალისა და წნევის პირობებში.

2. ISO/IEC 7810-ის მიხედვით მოწმობის ნომინალური ზომებია: სიგანე: 85.60 მმ (85.47 მმ – 85.72 მმ, ISO/IEC 7810), სიგრძე: 54.00 მმ (53.92 მმ – 54.03 მმ, ISO/IEC 7810), სისქე: 0.80 მმ (0.76 მმ – 0.84 მმ, ISO/IEC 7810).

მუხლი 2. რეგისტრაციის მოწმობის დიზაინი

1. რეგისტრაციის მოწმობის წინა მხარე, ავერსი – სურათი №1.

2. რეგისტრაციის მოწმობის უკანა მხარე, რევერსი – სურათი №2.

მუხლი 3. რეგისტრაციის მოწმობის მონაცემები

რეგისტრაციის მოწმობაში აისახება:

ა) (A) რეგისტრაციის ნომერი;

ბ) (B) სატრანსპორტო საშუალების გამოშვების წელი;

გ) (I) რეგისტრაციის თარიღი – გრაფაში მიეთითება სატრანსპორტო საშუალების ბოლო რეგისტრაციის თარიღი;

დ) რეგისტრაციის მოწმობის უნიკალური ნომერი (ნომერი მიეთითება მოწმობის წინა მხარეს, ქვედა მარცხენა ნაწილში);

ე) (C.1) მონაცემები რეგისტრაციის მოწმობის მფლობელის შესახებ:

ე.ა) (C.1.1) გვარი ან ორგანიზაციის სახელწოდება;

ე.ბ) (C.1.2) სახელი;

ე.გ) (C.1.3) საქართველოში რეგისტრაციის ან დროებითი რეგისტრაციის ადგილი;

ე.დ) (C.1.4) პირადი ნომერი ან საიდენტიფიკაციო კოდი;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ვ) (C.4) სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციისას ასახული მოწმობის მფლობელის უფლება ნივთზე, რომელიც აღინიშნება შემდეგნაირად:

ვ.ა) (a) სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე (ან თანამესაკუთრე) – მიეთითება კანონმდებლობით დადგენილი წესით სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეზე (ან თანამესაკუთრეზე) რეგისტრაციისას;

ვ.ბ) (b) არ არის სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე – მიეთითება:

ვ.ბ.ა) საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის, საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის ან სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებისათვის, აგრეთვე საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის სარგებლობაში (უსასყიდლოდ) გადაცემულ სატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაციისას;

ვ.ბ.ბ) სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის კუთვნილი იმ სატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაციისას, რომლებიც აუქციონის გარეშე სარგებლობაში (უსასყიდლოდ) გადაეცათ საერთაშორისო ორგანიზაციებს;

ვ.ბ.გ) ამ პუნქტის „ვ.ბ.ა“ და „ვ.ბ.ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული შემთხვევების გარდა, პირისათვის სარგებლობაში გადაცემული სატრანსპორტო საშუალების სარგებლობის უფლებით რეგისტრაციისას;

ვ.გ) (c) რეგისტრირებულია მესაკუთრის იდენტიფიცირების გარეშე – მიეთითება კანონმდებლობით დადგენილი წესით სატრანსპორტო საშუალების დროებითი რეგისტრაციისას;

ზ) (H) მოწმობის გაუქმების თარიღი – მიეთითება თარიღი, როდესაც მოწმობას ეწურება მოქმედების ვადა. იმ შემთხვევაში, თუ მოწმობა გაიცემა მოქმედების განუსაზღვრელი ვადით, აღნიშნულ გრაფაში გაევლება მოკლე ჰორიზონტალური ხაზი;

თ) (D) სატრანსპორტო საშუალება:

თ.ა) (D.1) მარკა;

თ.ბ) (D.2) ტიპი;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

თ.გ) (D.3) მოდელი;

ი) (E) სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი;

კ) (F) სატრანსპორტო საშუალების მასასთან დაკავშირებული მონაცემები:

კ.ა) (F.1) სრული მასა (მონაცემის ასახვა სავალდებულოა ტვირთის გადაზიდვისათვის განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის შემთხვევაში);

კ.ბ) (F.2) ნებადართული მაქსიმალური მასა (მონაცემის ასახვა სავალდებულოა ტვირთის გადაზიდვისათვის განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის შემთხვევაში);

ლ) (G) დაუტვირთავი მასა (მონაცემის ასახვა სავალდებულოა ტვირთის გადაზიდვისათვის განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის შემთხვევაში);

მ) (P) სატრანსპორტო საშუალების ძრავასთან დაკავშირებული მონაცემები:

მ.ა) (P.1) ძრავას მოცულობა (სმ^3-ობით);

მ.ბ) (P.2) მაქსიმალური სიმძლავრე (კვტ-ობით) – აისახება ასეთი მონაცემის არსებობის შემთხვევაში;

მ.გ) (P.3) საწვავის ტიპი ან ენერგიის წყარო;

მ.დ) (P.5) ძრავას საიდენტიფიკაციო ნომერი;

ნ) (Q) სიმძლავრე/წონის ფარდობა (კვტ/კგ-ობით) – მონაცემი აისახება მხოლოდ მოტოციკლის რეგისტრაციისას;

ო) (R) სატრანსპორტო საშუალების ფერი;

პ) (S) ადგილების რაოდენობა:

პ.ა) (S.1) დასაჯდომი ადგილების რაოდენობა, მძღოლის ადგილის ჩათვლით;

პ.ბ) (S.2) დასადგომი ადგილების რაოდენობა – მონაცემი აისახება მხოლოდ მგზავრთა გადაყვანისათვის განკუთვნილი იმ სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციისას, რომლის კონსტრუქცია ითვალისწინებს ფეხზე მდგომ მგზავრთა გადაყვანის შესაძლებლობას.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 4. უსაფრთხოების მახასიათებლები

1. რეგისტრაციის მოწმობა უნდა შეიცავდეს უსაფრთხოების შემდეგ მახასიათებლებს:

ა) ცისარტყელისებური ბეჭდვა;

ბ) საიდენტიფიკაციო (ქართულ-ინგლისური) წარწერების დატანა ლაზერული გრავირების მეთოდით;

გ) სხვადასხვა ტიპის ისეთი სტრუქტურების ბეჭდვა, რომლებიც არ ექვემდებარება ფოტოკოპირებასა და სკანირებას, რომლებიც მთლიანობაში შექმნის ბარათის დამცავ ბადეს;

დ) ფონში, რომელიც არ ექვემდებარება ფოტოკოპირებასა და სკანირებას, ინტეგრირებული მიკროტექსტი;

ე) რელიეფური (ამოტვიფრვის გზით) დაბეჭდილი მიკროტექსტი;

ვ) ვაზის ქართული ორნამენტი (ავერსის მარცხენა მხარეს, მთელ კიდეზე ვერტიკალურად გასდევს ქართული ორიგინალური ორნამენტი);

ზ) ხელოვნური ორთოგრაფიული შეცდომა;

თ) ულტრაიისფერი მელანი (რეგისტრაციის მოწმობაზე ულტრაიისფერი მელნით დატანილი გამოსახულებები უხილავია ჩვეულებრივი განათების პირობებში და ხილული ხდება ულტრაიისფერი გამოსხივების ქვეშ);

ი) საღებავი, რომელიც სხვადასხვა კუთხიდან შეხედვისას იცვლის ფერს (ავერსზე, ქვედა მარჯვენა კუთხეში გამოსახულია სააგენტოს ლოგო, რომელიც სხვადასხვა კუთხიდან შეხედვისას იცვლის ფერს);

კ) რელიეფური (ამოტვიფრული) სტრუქტურით შექმნილი გამოსახულება;

ლ) ტვიფრული ნიშანი, ე.წ. „2D ბარკოდი“.

2. უსაფრთხოების მახასიათებლების რეგისტრაციის მოწმობაზე დატანის პირობებს განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

3. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო უფლებამოსილია, რეგისტრაციის მოწმობის დამზადებისას გამოიყენოს უსაფრთხოების დამატებითი მახასიათებლები.

№1 სურათი

№2 სურათი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №476

2017 წლის 27 ოქტომბერი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის №144 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის №144 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 18/02/2014, 040030000.10.003.017763) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. **სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს შექმნის შესახებ“.

2. პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შეიქმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო (შემდგომში – სააგენტო).“.

მუხლი 2

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ უზრუნველყოს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2016 წლის 28 აპრილის №1797 ბრძანების ამ დადგენილებასთან შესაბამისობაში მოყვანა.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №480

2017 წლის 27 ოქტომბერი, ქ. თბილისი

„რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №150 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №150 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/03/2016, 340170000.10.003.019215) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის“:

1. **მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ბ) მონაწილეს მოწყობილი აქვს ან იღებს ვალდებულებას, სააგენტოს მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, მაგრამ არ უმეტეს 8 თვისა, მოაწყოს რძის შემკრებ-გადამამუშავებელი პუნქტისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობა, რომელიც სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს დასკვნის შესაბამისად აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, გარდა ამ პროგრამის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა;“ .

2. **მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„3. იმ შემთხვევაში, თუ მონაწილის მიერ სრულად არ არის წარდგენილი ამ მუხლით განსაზღვრული დოკუმენტური დასაბუთებები ან დაფიქსირებულია სხვა ხარვეზი, რაც აფერხებს სააგენტოს მხრიდან პროგრამით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის გადაცემაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღებას, სააგენტო მონაწილეს დამატებით განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, მაგრამ არაუმეტეს 8 თვისა და წარდგენილ დოკუმენტაციას განიხილავს წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №481

2017 წლის 27 ოქტომბერი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის ვადისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 31 იანვრის №59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის ვადისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 31 იანვრის №59 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 04/02/2011, 040030000.10.003.016219) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. **პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„**მუხლი** 1. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 21^2 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის ვადა და საფასური.“.

2. **დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის ვადისა და საფასურის“**:

ა) **პირველი მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„7. საფასურის გადახდისაგან თავისუფლდებიან:

ა) დაწესებულებები (ორგანიზაციები), რომელთა ხარჯები ფინანსდება მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან;

ბ) ბიზნესოპერატორები, რომელთაც სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის შესაბამისად აქვთ მცირე ბიზნესის სტატუსი და იღებენ ამ დანართის მე-2 მუხლის მე-19 და მე-20 პუნქტებით გათვალისწინებულ მომსახურებას.“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) მე-2 მუხლის მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12	ვეტერინარული ზედამხედველობა (ვეტერინარული შემოწმების საფუძველზე შესაბამისი დოკუმენტის გაცემა)	მსხვილი რქოსანი ცხოველის ტანხორცი	5 ლარი
		ღორის ტანხორცი	3 ლარი
		ცხვრის, თხის ტანხორცი (ყველა ასაკის)	2 ლარი
		კენტჩლიქიანის ტანხორცი	5 ლარი
		ბოცვრის, თახვის ტანხორცი	0.15 ლარი
		ფრინველის ტანხორცი	0.015 ლარი
		ტყავი, ტყავნედლეული (1 პარტია)	10 ლარი.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №305

2017 წლის 5 სექტემბერი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით (ვებგვერდი, 31/07/2012, სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.016424) დამტკიცებული ინსტრუქციის:

1. მე-5 მუხლის „1^2“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1^2. საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მოქცეული მალფუჭებადი საქონლის, ცხოველების, მასობრივი ინფორმაციის შემცველი საქონლის, სტიქიური უბედურებების, ავარიების და კატასტროფების დროს საჭირო საქონლის, წინასწარ დეკლარირებული საქონლის, ექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში დეკლარირებული საქონლის, აგრეთვე საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე სარკინიგზო ტრანსპორტით გადაადგილებული საქონლისა და ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის კუთვნილი/მფლობელობაში არსებული საქონლის მიმართ საბაჟო კონტროლის ღონისძიებები და საქონლის გაფორმება ხორციელდება პრიორიტეტული წესით, მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში.“.

2. მე-10 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ერთი მიმღების მისამართით გაგზავნილი საქონლის დანიშნულების ადგილზე წარდგენა სავალდებულო არ არის, თუ:

ა) იმპორტის ან შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციისათვის განკუთვნილი საქონლის დანიშნულების ადგილზე მიტანის ვადის გასვლამდე დეკლარანტის მიერ შეივსო და დარეგისტრირდა სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია და საქონელი განთავსდა საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმებულ ტერიტორიაზე;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში წინასწარ დეკლარირებული საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას საბაჟო გამშვებ პუნქტში საბაჟო დეკლარაციისათვის განისაზღვრა „ყვითელი დერეფანი“ და საქონელი განთავსდა საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმებულ ტერიტორიაზე.“.

3. მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა.ა[1]“ ქვეპუნქტი:

„ა.ა[1]) ქ. ფოთი, კოკაიას ხეივანი №1;“.

4. მე-19 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) ერთი მიმღების მისამართით გაგზავნილი საქონლისა, თუ:

ვ.ა) იმპორტის ან შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციისათვის განკუთვნილი საქონლის დანიშნულების ადგილზე მიტანის ვადის გასვლამდე დეკლარანტის მიერ შეივსო და დარეგისტრირდა სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია და საქონელი განთავსდა საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმებულ ტერიტორიაზე;

ვ.ბ) იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში წინასწარ დეკლარირებული საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას საბაჟო გამშვებ პუნქტში საბაჟო დეკლარაციისათვის განისაზღვრა „ყვითელი დერეფანი“ და საქონელი განთავსდა საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმებულ ტერიტორიაზე;“;

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში დეკლარანტმა/საქონლის მფლობელმა უნდა უზრუნველყოს შეთანხმებულ ტერიტორიაზე საქონლის დათვალიერებისათვის აუცილებელი პირობების შექმნა, ხოლო საგადასახადო ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში, საქონლის წარდგენა საგადასახადო ორგანოს მიერ მითითებულ საბაჟო კონტროლის ზონაში.“.

5. 51-ე მუხლის მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საქონლის გაშვებიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა, ხოლო დეკლარანტის მიერ შევსებული და რეგისტრირებული დეკლარაციით გაფორმებისას – საქონლის გაშვებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა, გარდა ამ პუნქტის „ბ“–„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა;“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2017 წლის 6 სექტემბრიდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

დიმიტრი ქუმსიშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №316

2017 წლის 14 სექტემბერი, ქ. თბილისი

„მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანებით (სსმ III, 03.08.2005 წ., №91, მუხ.1035) დამტკიცებული „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის“ (დანართი №1) მე-2 პუნქტში შეტანილ იქნეს ცვლილება და ამოღებულ იქნეს „ჰ.ჰ.ჰ.უ[1]“ ქვეპუნქტი.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

დიმიტრი ქუმსიშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №321

2017 წლის 15 სექტემბერი, ქ. თბილისი

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათაჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით (სსმ III, 31.12.2010, №172, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016105) დამტკიცებული წესის:

1. II^{1} კარის შემდეგ დაემატოს 37^{16} მუხლი შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 37^{16}. დაუძლეველი ძალის ზემოქმედების შედეგად განადგურებული/დაკარგული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერა

1. გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია ამ წესის 32-ე - 37-ე მუხლებით დადგენილი პირობებისა და პროცედურების გაუთვალისწინებლად, ჩამოწეროს დაუძლეველი ძალის (მიწისძვრა, წყალდიდობა, მეწყერი, ზვავი, ხანძარი, ავარია ან სხვა საგანგებო ან განსაკუთრებული გარემოება, რომლის შედეგადაც გადასახადის გადამხდელისაგან დამოუკიდებელი მიზეზით განადგურდა/დაიკარგა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები) ზემოქმედების შედეგად განადგურებული/დაკარგული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.

2. გადასახადის გადამხდელის მიერ, ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული მიზეზით, განადგურებული/დაკარგული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის საფუძველია:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) უფლებამოსილი ორგანოს (საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების, მისი მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, ავტონომიური რესპუბლიკების, სამხარეო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების) მიერ გაცემული ცნობა, რომლითაც დადასტურებულია მიწისძვრის, წყალდიდობის, მეწყერის, ზვავის, ხანძრის, ავარიის ან სხვა საგანგებო ან განსაკუთრებული გარემოების არსებობის ფაქტი;

ბ) სააღრიცხვო დოკუმენტაცია ან/და სხვა დოკუმენტური მტკიცებულებები, რომლითაც დასტურდება დაუძელველი ძალის ადგილზე, მისი მოქმედების არეალში გადასახადის გადამხდელის მიერ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების, ამ საქმიანობისთვის განკუთვნილი ობიექტის, სატრანსპორტო საშუალების, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების არსებობის ფაქტი.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელი ადგენს განადგურებული/დაკარგული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის დოკუმენტს, რომლის შედგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში შემოსავლების სამსახურის ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით, საგადასახადო ორგანოს წარუდგენს:

ა) განადგურებული/დაკარგული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის დოკუმენტს;

ბ) ამ მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ცნობას;

გ) „განადგურებული/დაკარგული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შესახებ ინფორმაციას“ (დანართი №24[4]).

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი ვალდებულების შესრულება არ ათავისუფლებს გადასახადის გადამხდელს საქართველოს საგადასახდო კოდექსით გათვალისწინებული საგადასახადო ვალდებულებისაგან თუ საგადასახდო კონტროლის განხორციელებით გამოვლინდა ამ მუხლით დადგენილი წესისა და პირობების დარღვევით განადგურებული/დაკარგული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის ფაქტი.“.

2. 37[16] მუხლის შემდეგ დაემატოს დანართი №24[4] თანდართული რედაქციით.

3. 82-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საგადასახადო ორგანოები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 44[4], 91[2], 99-ე, 127[1] მუხლის მე-2 ნაწილით, 129[1], 153-ე, 153[1], 153[7], 154[1], 154[2], 155[1]-155[6], 157-ე, 157[1]-157[3], 158-ე, 158[1], 159[4], 163-ე, 164-ე, 164[4], 165-ე-165[3], 165[10], 178-ე, 179[3], 194-ე და 195-ე მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

4. 83-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საგადასახადო ორგანო განიხილავს იმ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 127^{1} მუხლის მე-2 ნაწილით, 129^{1}, 153^{7}, 157-ე, 165-ე, 165^{10}, 179^{3}, 194-ე და 195-ე მუხლებით.“.

მუხლი 2

1. ეს ბრძანება, გარდა ამ ბრძანების პირველი მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ ბრძანების პირველი მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-5 დღეს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

დიმიტრი ქუმსიშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„დანართი №24[4]

ინფორმაცია განადგურებული/დაკარგული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შესახებ

1	

გადასახადის გადამხდელის
დასახელება, ფაქტობრივი მისამართი

2											

საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

3	

სმფ-ების ჩამოწერის დრო
ხელისუფლების, (რიცხვი, თვე და წელი სიტყვიერად)
სახელმწიფო საქვეუწყებო

4	

უფლებამოსილი ორგანოს (საქართველოს აღმასრულებელი
მისი მმართველობის სფეროში შემავალი
დაწესებულებების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, ავტონომიური
რესპუბლიკების, სამხარეო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების)
მიერ გაცემული ცნობა
(თარიღი, რეგისტრაციის ნომერი)

5	

ჩამოწერილი სმფ-ების განადგურების/დაკარგვის ადგილი

6 . ჩამოწერილი სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღწერა:

რიგითი №	სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	სმფ-ს ღირებულება სააღრიცხვო მონაცემების მიხედვით		სმფ-ების განადგურების/დაკარგვის მიზეზი - მიწისძვრა, წყალდიდობა, მეწყერი, ზვავი, ხანძარი, ავარია, სხვა საგანგებო ან განსაკუთრებული გარემოება)	შენიშვნა
				ერთეულის ფასი	სულ		
1	2	3	4	5	6	7	8
	სულ:						

7	გადასახადის გადამხდელის ხელმოწერა

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №320

2017 წლის 15 სექტემბერი, ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007 წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ დანართ №2-ში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბიუჯეტის განმკარგველის – 1387 – „ა(ა)იპ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ადრეული და სკოლამდელი სააღმზრდელო საჯარო დაწესებულებათა გაერთიანება“ – შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ბიუჯეტის განმკარგველები:

1388	5028	ა(ა)იპ „კასპის სპორტკომპლექსი“
1389	5029	ა(ა)იპ „სიმონ ჯანაშიას სახელობის აფხაზეთის საზოგადოებრივი კოლეჯი“

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

დიმიტრი ქუმსიშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №329

2017 წლის 20 სექტემბერი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებაში ცვლილებისშეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით (ვებგვერდი, 110524001, 25/05/2011, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.033.016192) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის**:

ა) **„ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ა) საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის დეპარტამენტი;“;

ბ) **„პ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჟ“ ქვეპუნქტი**:

„ჟ) ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტი;“.

2. **მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„მუხლი 6. საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის დეპარტამენტი

საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) სამსახურის საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;

ბ) მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით, სამსახურის ფუნქციების, ამოცანებისა და საქმიანობის მნიშვნელობის განმარტება;

გ) შემოსავლების სამსახურში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, ოფიციალური განმარტებების, შეტყობინებების, საინფორმაციო ბიულეტენების, საინფორმაციო ფურცლების, პრესრელიზებისა და სხვა ინფორმაციული მასალების მომზადება;

დ) სამსახურის ვებგვერდზე ახალი ინფორმაციის განთავსების უზრუნველყოფა;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ე) სამსახურის მიერ ორგანიზებული ღონისძიებებისა და გადაწყვეტილებების შესახებ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ინფორმირება;

ვ) სამსახურის მიზნებისა და ამოცანების გადაწყვეტისათვის აუცილებელი სოციოლოგიური და მარკეტინგული კვლევების დაგეგმვისა და ჩატარების ორგანიზება;

ზ) სამსახურის, სამსახურის ხელმძღვანელობის იმიჯზე ზრუნვა;

თ) სამსახურის, სამსახურის უფროსის რეიტინგის კვლევა;

ი) პრესისა და საინფორმაციო სატელევიზიო გამოშვებების ანალიზის მიხედვით, უახლოეს პერიოდში გასატარებელი და გრძელვადიანი ღონისძიებების შემუშავება;

კ) სამსახურის სტრუქტურული ერთეულების მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობის კოორდინაცია;

ლ) პრესის მიმოხილვის და ანალიზის მომზადება;

მ) პრესკონფერენციების მოწყობა;

ნ) სამსახურის საჭიროებების შესაბამისად, საიმიჯო ნივთებისა და ინვენტარის მომზადების უზრუნველყოფა;

ო) კომპეტენციის ფარგლებში, გადასახადის გადამხდელის, მისი წარმომადგენლისა და სხვა დაინტერესებული პირის კორესპონდენციის განხილვა;

პ) კომპეტენციის ფარგლებში, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;

ჟ) სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება;

რ) სამსახურის ხელმძღვანელობის ცალკეული დავალებებისა და მითითებების შესრულება.“.

3. **მე-10 მუხლის „მ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$მ^1$“ და „$მ^2$“ ქვეპუნქტები**:

„$მ^1$) სამსახურში საქმისწარმოების ორგანიზება და კონტროლი;

$მ^2$) სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ კორესპონდენციასთან დაკავშირებული საქმისწარმოების განხორციელება;“.

4. 17^3 **მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის** 17^4 **მუხლი**:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„მუხლი 17[4]. ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტი

ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) სამუშაოს აღწერა და ანალიზი;

ბ) თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების მომზადება;

გ) შიდა საკადრო მარეგულირებელი პოლიტიკის შემუშავება და თანამშრომლებისთვის გაცნობა;

დ) თანამშრომელთა შეფასების სისტემის შემუშავება და პროცესის კოორდინაცია;

ე) თანამშრომელთა მოტივაციისა და შრომითი კმაყოფილების ამაღლების სისტემების შემუშავება;

ვ) თანამშრომელთა შიდა კარიერული დაწინაურებისა და პოზიციური ცვლილებების წესის შემუშავება და პროცესის კოორდინაცია;

ზ) საშტატო განრიგის ფორმირების თაობაზე წინადადებების მომზადება;

თ) თანამშრომელთა მოზიდვა-შერჩევა;

ი) სტაჟირებისა და პრაქტიკის პროცესის დაგეგმვა და კოორდინაცია;

კ) თანამშრომლების პროფესიული და პიროვნული განვითარების და სწავლების სისტემების შემუშავება;

ლ) სამსახურში კონკურსის ჩატარების ორგანიზება;

მ) საკადრო საქმისწარმოება, სამსახურის თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოება;

ნ) კომპეტენციის ფარგლებში დაინტერესებული პირის კორესპონდენციის განხილვა;

ო) კომპეტენციის ფარგლებში, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;

პ) სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება;

ჟ) სამსახურის ხელმძღვანელობის ცალკეული დავალებებისა და მითითებების შესრულება;“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

დიმიტრი ქუმსიშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №340

2017 წლის 26 სექტემბერი, ქ. თბილისი

„გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 დეკემბრის №904 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 დეკემბრის №904 ბრძანებით (სსმ III, 30.12.2009წ., №159, მუხ. 1979) დამტკიცებული „გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების ინსტრუქციაში“ (დანართი №1) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„მუხლი 2. თითოეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამი

თითოეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

თვითმმართველი ქალაქებისათვის: Ecity=Scity*Gcity%

მუნიციპალიტეტებისათვის: Em=Sm*Gm%,

სადაც:

Ecity – თვითმმართველი ქალაქის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამი;

Em – მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამი;

Scity – თვითმმართველი ქალაქის სტატისტიკური და გათანაბრებითი კოეფიციენტების ხვედრითი წილი თვითმმართველი ქალაქების კოეფიციენტების საერთო მოცულობაში;

Sm – მუნიციპალიტეტის სტატისტიკური და გათანაბრებითი კოეფიციენტების ხვედრითი წილი მუნიციპალიტეტების სტატისტიკური და გათანაბრებითი კოეფიციენტების საერთო მოცულობაში;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

G ანუ Gcity-სა და Gm-ის ჯამი წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის საერთო მოცულობას, რომელიც განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

Gcity – თვითმმართველი ქალაქების ბიუჯეტების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობა განისაზღვროს ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების ბიუჯეტების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობის 63%-ით.

Gm – მუნიციპალიტეტის ბიუჯეტების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობა განისაზღვროს ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების ბიუჯეტების ხარჯებისა და არაფინასური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობის 37%-ით.“

2. მე-7 **მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„**მუხლი** 7. **სტატუსის კოეფიციენტის** (ST-ის) **გაანგარიშება**

სტატუსის კოეფიციენტი (ST) მიიღება თვითმმართველი ერთეულის, დედაქალაქის, მაღალმთიანობის სტატუსების და დროებით მხარდაჭერის კოეფიციენტების ჯამით:

ST=SU+SCC+SHM+SJ,

სადაც:

SU წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის სტატუსს და განისაზღვრება 1.0-ის ოდენობით;

SCC წარმოადგენს დედაქალაქის სტატუსს და თვითმმართელი ქალაქების თბილისის და ბათუმისათვის განისაზღვროს 2.0-ის ოდენობით;

SHM წარმოადგენს მაღალმთიანობის სტატუსს, რომელიც განისაზღვრება 0.1-ის ოდენობით და ენიჭება იმ თვითმმართველ ერთეულებს, რომლებშიც „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დამტკიცებული „მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N671 დადგენილებით განსაზღვრული ნუსხიდან მდებარეობს არანაკლებ 10 დასახლებული პუნქტი;

SJ წარმოადგენს დროებითი მხარდაჭერის კოეფიციენტს „გორის, ამბროლაურის, მცხეთის, ოზურგეთის, თელავის, ახალციხის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების შექმნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 15 ივნისის N987-IIს დადგენილების საფუძველზე შექმნილი ახალი მუნიციპალიტეტებისათვის და განისაზღვრება:

– 2018 წლისათვის 0.5-ის ოდენობით;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

– 2019 წლისათვის 0.3-ის ოდენობით;

– 2020 წლისათვის 0.1-ის ოდენობით.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

დიმიტრი ქუმსიშვილი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №341

2017 წლის 27 სექტემბერი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით (ვებგვერდი, 31/07/2012, სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.016424) დამტკიცებული ინსტრუქციის 101-ე მუხლის მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

„2^1. ტრანზიტის სასაქონლო ოპერაციის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების (მიღება-გადაცემის) აქტის ნაცვლად, შესაძლებელია წარდგენილ იქნეს საქონლის გამომგზავნსა (ექსპორტიორი) და გადამზიდავ კომპანიას შორის გაფორმებული კომერციული აქტი ხელშეკრულების პირობების შესრულების დადასტურებისა და გადაზიდვის მომსახურების ანაზღაურების თაობაზე.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

დიმიტრი ქუმსიშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №351

2017 წლის 29 სექტემბერი, ქ. თბილისი

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით (სსმ III, 31.12.2010, №172, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016105) დამტკიცებული წესის:

1. 81-ე **მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის** მე-4 – მე-11 **პუნქტები**:

„4. საგადასახადო ორგანოები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 44^4, 91^2, 99-ე, 127^1 მუხლის მე-2 ნაწილით, 129^1, 153-ე, 153^1, 153^7, 154^1, 154^2, 155^1-155^6, 157-ე, 157^1-157^3, 158-ე, 158^1, 159^4, 163-ე, 164-ე, 164^4, 165-ე-165^3, 165^{10}, 178-ე, 179^3, 194-ე და 195-ე მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე.

5. საგადასახადო ორგანო განიხილავს იმ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 127^1 მუხლის მე-2 ნაწილით, 129^1, 153^7, 157-ე, 165-ე, 165^{10}, 179^3, 194-ე და 195-ე მუხლებით.

6. იმ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც აღნიშნულია ამ მუხლის მე-4 პუნქტში, გარდა ამავე მუხლის მე-5 პუნქტში აღნიშნული მუხლებისა, განიხილავს რაიონის (ქალაქის) სასამართლო.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

7. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე, თუ სამართალდამრღვევი სადავოდ არ ხდის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს, აღნიშნულის დასადასტურებლად ოქმის შესაბამის გრაფაში აკეთებს აღნიშვნას და დამატებით ხელმოწერას, რის საფუძველზეც ადგილზე შეეფარდება ადმინისტრაციული სახდელი. ოქმში, ასევე მიეთითება შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელი (ჯარიმის თანხა). სამართალდამრღვევს ადგილზე შეეფარდება ადმინისტრაციული სახდელი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 153[7] მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაშიც, თუ სამართალდარღვევა არ საჭიროებს ადმინისტრაციულ გამოკვლევას.

8. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი თანდართულ მასალებთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაუყოვნებლივ ეგზავნება მის განხილვაზე უფლებამოსილ თანამდებობის პირს, გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9. ჯარიმის თანხა ექვემდებარება გადახდას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

10. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, აგრეთვე ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ უფლებამოსილი თანამდებობის პირის დადგენილება იძულებით აღსრულდება ,,სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.

11. ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული იძულებითი აღსრულების მიზნით, შემოსავლების სამსახურის სახელით, შესაბამისი საგადასახადო ორგანოს უფროსის მიერ გამოიწერება სააღსრულებო ფურცელი (დანართი №31[1]), რომელიც წერილობითი ან ელექტრონული ფორმით აღსასრულებლად დაუყოვნებლივ ეგზავნება აღსრულების ეროვნულ ბიუროს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმთან/ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილებასთან ერთად.“.

2. 82-ე მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-4 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

,,4. ოქმს ხელს აწერენ: ოქმის შემდგენელი პირი (გარდა ელექტრონული ფორმით შედგენილი ოქმისა), სამართალდამრღვევი, აგრეთვე დამსწრე, მისი არსებობის შემთხვევაში. ელექტრონული ფორმით შედგენილ ოქმზე სამართალდამრღვევის ხელმოწერა შესაძლებელია განხორციელდეს ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ელექტრონული ხელმოწერით, რომელიც არის მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალის მქონე. ელექტრონული ფორმით ოქმი დგება ერთ ეგზემპლარად, რომელიც ამოიბეჭდება და თანდართულ მასალებთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაუყოვნებლივ ეგზავნება განხილვაზე უფლებამოსილ თანამდებობის პირს, გარდა ამ წესის 81-ე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ან სასამართლოს ამავე წესის 81-ე მუხლის მე-6 პუნქტის გათვალისწინებით. ელექტრონული ფორმით შედგენილი ოქმი ელექტრონულად ეგზავნება სამართალდამრღვევ პირს. დასაშვებია ელექტრონული ფორმით შედგენილი ოქმის ამობეჭდვა და გაგზავნა სამართალდამრღვევი პირისათვის. ამასთან, დასაშვებია ელექტრონული ფორმით შედგენილი ოქმის ამობეჭდვა და ჩაბარება სამართალდამრღვევი პირისათვის, თუ იგი ესწრება მის შედგენას.

5. თუ სამართალდამრღვევი ესწრება ოქმის შედგენას და უარს აცხადებს ოქმის ხელმოწერაზე ან/და ჩაბარებაზე, ოქმის შენიშვნის გრაფაში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 153^7 მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევაში, თუ სამართალდარღვევა არ საჭიროებს ადმინისტრაციულ გამოკვლევას და სამართალდამრღვევი უარს აცხადებს ოქმის ხელმოწერაზე ან/და ჩაბარებაზე და აღნიშნული დაფიქსირებულია ტექნიკური საშუალებით (ფოტო ან/და ვიდეოგადაღების მეშვეობით), ოქმი ჩაბარებულად ითვლება.“;

გ) მე-7 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

დ)მე-8 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ა) ერთი – თანდართულ მასალებთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დაუყოვნებლივ ეგზავნება განხილვაზე უფლებამოსილ თანამდებობის პირს, გარდა ამ წესის 81-ე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ან სასამართლოს ამავე მუხლის მე-6 პუნქტის გათვალისწინებით;

ბ) მეორე – ბარდება სამართალდამრღვევს შესაბამისი ხელის მოწერით ოქმის ეგზემპლარის ჩაბარების შესახებ, ხოლო როცა სამართალდამრღვევი არ ესწრება ოქმის შედგენას – ოქმი გაიგზავნება ოქმის შემდგენისათვის ცნობილ მისამართზე, მათ შორის, შემოსავლების სამსახურის ოფიციალური ვებგვერდის – გადასახადის გადამხდელის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე (თუ სამართალდამრღვევი გადასახადის გადამხდელია) და ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი გაცნობისთანავე. თუ ადრესატისათვის მისი ჩაბარება ვერ მოხერხდა, ოქმი განმეორებით იგზავნება მისი შემდგენისათვის ცნობილ მისამართზე. გზავნილის განმეორებით ჩაუბარებლობის შემთხვევაში ოქმი საჯაროდ გავრცელება შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებით და ჩაბარებულად ითვლება განთავსებიდან მე-20 დღეს;“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ე) მე-10 და მე-11 პუნქტები ამოღებულ იქნეს.

3. 83-ე მუხლი ამოღებულ იქნეს.

4. დანართი №31-ის შემდეგ დაემატოს თანდართული რედაქციის დანართი №31[1].

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

დიმიტრი ქუმსიშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

i n s t r u q c i a

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №309

2017 წლის 7 სექტემბერი, ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, 2000900000.22.033.016112) დამტკიცებული ინსტრუქციის მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5.

1. თუ პირი საგადასახადო აღრიცხვის გარეშე ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, საგადასახადო ორგანო ვალდებულია, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 66-ე მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს მისი საგადასახადო აღრიცხვა.

2. თუ საგადასახადო ორგანოსათვის ცნობილი გახდა პირის საგადასახადო ვალდებულების შესახებ, საგადასახადო ვალდებულებების აღრიცხვის მიზნით, საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია უზრუნველყოს პირის გადასახადის გადამხდელად აღრიცხვა.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის, შემოსავლების სამსახურის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან შესაბამისი სამსახურის მიერ მიწოდებული და დასაბუთებული ინფორმაციის საფუძველზე მონაცემები შეჰყავს საგადასახადო აღრიცხვის ერთიან რეესტრში, პირს ანიჭებს საიდენტიფიკაციო ნომერს და ინფორმაციას აქვეყნებს შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე, გადასახადის გადამხდელთა რეესტრში.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

4. შესაბამისი სამსახურის მიერ მიწოდებული და დასაბუთებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს პირის სააღრიცხვო მონაცემებს: ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელს და გვარს, პირად ნომერს/პასპორტის ნომერს, პირის დაბადების თარიღს, მოქალაქეობას, რეგისტრაციის/საცხოვრებელ მისამართს; იურიდიული პირის შემთხვევაში – სახელწოდებას, იურიდიულ მისამართს, ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის რეკვიზიტებს და რეგისტრაციის ვალდებულების წარმოშობის თარიღს.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

დიმიტრი ქუმსიშვილი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №314

2017 წლის 11 სექტემბერი, ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, 2000900000.22.033.016112) დამტკიცებული ინსტრუქციის 48[1] მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „მაგალითი 26“:

„მაგალითი 26.

დღგ-ის გადამხდელმა შპს „X“-მა 5 000 ლარის ღირებულების საქონლის მიწოდების თაობაზე გააფორმა ხელშეკრულება შპს „Y“-თან, რომელიც არ არის დღგ-ის გადამხდელი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მხარეები შეთანხმდნენ, რომ საქონლის მიწოდებამდე შპს „Y“ გადაიხდიდა საქონლის ღირებულების 50%-ს – 2500 ლარს, ხოლო დარჩენილ ნაწილს გადაიხდიდა საქონლის მიწოდების შემდგომ. შპს „Y“-მა შეთანხმებული თანხა შპს „X“-ს გადაუხადა 2017 წლის 20 მაისს. ვინაიდან მხარეების მიერ განსაზღვრული იყო მისაწოდებელი საქონელი, საქონლის რაოდენობა, ღირებულება და საქონლის მიწოდება წარმოადგენდა დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციას, შპს „X“-ის მიერ მიღებულ თანხაზე გამოწერილ იქნა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და 2 500 ლარი დაბეგრილ იქნა დღგ-ით 2017 წლის მაისის თვეში. 2017 წლის 2 ივნისს შპს „Y“ დარეგისტრირდა დღგ-ის გადამხდელად. შეთანხებული საქონლის მიწოდება განხორციელდა 2017 წლის 9 ივნისს. შპს „Y“-ის მიერ მიწოდებულ საქონელზე გადახდილი დღგ ჩათვლილ იქნა ივნისის საანგარიშო პერიოდში.

შეფასება:

ვინაიდან შპს „Y“-ს საქონელი მიღებული აქვს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის შემდგომ, შესაბამისად, მის მიერ დღგ-ის რეგისტრაციამდე აღნიშნულ საქონელზე გადახდილი დღგ-ის თანხა ექვემდებარება ჩათვლას.

შენიშვნა:

იმავე წესით შეუძლია მიიღოს გადასახადის გადამხდელმა დღგ-ის ჩათვლა მომსახურების მიღების შემთხვევაშიც.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

დიმიტრი ქუმსიშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №315

2017 წლის 12 სექტემბერი, ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, 2000900000.22.033.016112) დამტკიცებული ინსტრუქციის 112-ე მუხლის მე-17 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„17. პირადი აღრიცხვის ბარათების გაერთიანების შედეგად, 2015 წლის 1 ივლისამდე საანგარიშო პერიოდებზე უკუდაბეგვრის სპეცბარათზე დარიცხული დღგ-ის (მიუხედავად მათი წარმოშობის პერიოდისა) 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ან/და შემდგომ პერიოდში გადაფარვის (ზედმეტად გადახდილი თანხებით არსებული დავალიანების დაფარვა) შედეგად გადასახადის გადამხდელისათვის გაგზავნილი შეტყობინება ითვლება უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ-ის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტად და დღგ-ის გადამხდელს აძლევს ჩათვლის უფლებას თანხის გადაფარვის საანგარიშო პერიოდის მიხედვით (მათ შორის, დაზუსტების გზით), თანხის გადაფარვის საანგარიშო პერიოდის ხანდაზმულობის გათვალისწინებით.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2016 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

დიმიტრი ქუმსიშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

Semosavlebis samsaxuris brZaneba

შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №23618

2017 წლის 6 სექტემბერი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებით დამტკიცებული:

ა) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დავების დეპარტამენტის დებულების (დანართი №7):

ა.ა) მე-3 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ^{2}“ ქვეპუნქტი:

„თ^{2}) კომპეტენციის ფარგლებში, ვალდებულების დამდგენი დოკუმენტის საჯაროდ გავრცელების ორგანიზაციულ უზრუნველყოფას;“;

ა.ბ) მე-6 მუხლის მე-5 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ^{1}“ ქვეპუნქტი:

„გ^{1}) კომპეტენციის ფარგლებში, ვალდებულების დამდგენი დოკუმენტის საჯაროდ გავრცელების ორგანიზაციული უზრუნველყოფა;“;

ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის დებულების (დანართი №8):

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ზ.ა) მე-5 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „პ^{2}“ ქვეპუნქტი:

„პ^{2}) კომპეტენციის ფარგლებში, ვალდებულების დამდგენი დოკუმენტის საჯაროდ გავრცელების ორგანიზაციულ უზრუნველყოფას;“;

ზ.ბ) მე -10 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „მ^{1}“ ქვეპუნქტი:

„მ1) კომპეტენციის ფარგლებში, ვალდებულების დამდგენი დოკუმენტის საჯაროდ გავრცელების ორგანიზაციული უზრუნველყოფა;“;

გ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის დებულების (დანართი №9):

გ.ა) მე-5 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ნ^{1}“ ქვეპუნქტი:

„ნ^{1}) კომპეტენციის ფარგლებში, ვალდებულების დამდგენი დოკუმენტის საჯაროდ გავრცელების ორგანიზაციულ უზრუნველყოფას;“;

გ.ბ) მე-8 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ც^{1}“ ქვეპუნქტი:

„ც^{1}) კომპეტენციის ფარგლებში, ვალდებულების დამდგენი დოკუმენტის საჯაროდ გავრცელების ორგანიზაციული უზრუნველყოფა;“;

გ.გ) მე-11 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „პ^{1}“ ქვეპუნქტი:

„პ^{1}) კომპეტენციის ფარგლებში, ვალდებულების დამდგენი დოკუმენტის საჯაროდ გავრცელების ორგანიზაციული უზრუნველყოფა;“;

გ.დ) მე-13 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „პ^{2}“ ქვეპუნქტი:

„პ^{2}) კომპეტენციის ფარგლებში, ვალდებულების დამდგენი დოკუმენტის საჯაროდ გავრცელების ორგანიზაციული უზრუნველყოფა;“;

დ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის დებულების (დანართი №10):

დ.ა) მე-5 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ო^{2}“ ქვეპუნქტი:

„ო^{2}) კომპეტენციის ფარგლებში, ვალდებულების დამდგენი დოკუმენტის საჯაროდ გავრცელების ორგანიზაციულ უზრუნველყოფას;“;

დ.ბ) მე-9 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ლ^{1}“ ქვეპუნქტი:

„ლ^{1}) კომპეტენციის ფარგლებში, ვალდებულების დამდგენი დოკუმენტის საჯაროდ გავრცელების ორგანიზაციული უზრუნველყოფა;“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ე) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის დებულების (დანართი №12):

ე.ა) მე-5 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჭ[1]“ ქვეპუნქტი:

„ჭ[1]) კომპეტენციის ფარგლებში, ვალდებულების დამდგენი დოკუმენტის საჯაროდ გავრცელების ორგანიზაციულ უზრუნველყოფას;“;

ე.ბ) მე-8 მუხლის:

ე.ბ.ა) მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ[1]“ ქვეპუნქტი:

„დ[1]) კომპეტენციის ფარგლებში, ვალდებულების დამდგენი დოკუმენტის საჯაროდ გავრცელების ორგანიზაციული უზრუნველყოფა;“;

ე.ბ.ბ) მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ყ[1]“ქვეპუნქტი:

„ყ[1]) კომპეტენციის ფარგლებში, ვალდებულების დამდგენი დოკუმენტის საჯაროდ გავრცელების ორგანიზაციული უზრუნველყოფა;“;

ვ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის ადმინისტრირების დეპარტამენტის დებულების (დანართი №14):

ვ.ა) მე-5 მუხლის „პ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :

„პ) კომპეტენციის ფარგლებში, ვალდებულების დამდგენი დოკუმენტის საჯაროდ გავრცელების ორგანიზაციული უზრუნველყოფა;“;

ვ.ბ) მე-12 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :

„ე) კომპეტენციის ფარგლებში, ვალდებულების დამდგენი დოკუმენტის საჯაროდ გავრცელების ორგანიზაციული უზრუნველყოფა;“.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

შემოსავლების სამსახურის უფროსი

გ. თაბუაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №23635

2017 წლის 6 სექტემბერი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

1. „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების პირველი პუნქტის:

ა) „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების ინსტრუქციის“ (დანართი №1):

ა.ა) მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საქონელი გაგზავნილია ერთი მიმღების მისამართით, განკუთვნილია იმპორტის ან შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციისათვის და დანიშნულების ადგილზე მიტანის ვადის გასვლამდე დეკლარანტის მიერ შეივსო და დარეგისტრირდა სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია;“;

ა.ბ) 35-ე მუხლის:

ა.ბ.ა) მე-11 პუნქტის „ვ“ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) ციფრი „5“ – როდესაც ერთი მიმღების მისამართით გაგზავნილი, იმპორტის სასაქონლო ოპერაციისათვის განკუთვნილი საქონლის წარდგენა ხორციელდება საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმებულ ტერიტორიაზე და დეკლარაციას ავსებს და არეგისტრირებს დეკლარანტი.“;

ა.ბ.ბ) 29-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„29. გრაფა 30 „საქონლის ადგილმდებარეობა” – საბაჟო საწყობში ან შენახვის სხვა ადგილზე დროებით შენახული საქონლის დეკლარირებისას გრაფაში აღინიშნება საქონლის შენახვის ადგილის ხუთნიშნა კოდი კლასიფიკატორის მე-12 ნაწილის შესაბამისად. საქონლის წინასწარი დეკლარირებისას გრაფაში აღინიშნება „SGP99“. თუ ერთი მიმღების მისამართით გაგზავნილი, იმპორტის სასაქონლო ოპერაციისათვის განკუთვნილი საქონლის წარდგენა ხორციელდება საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმებულ ტერიტორიაზე, გრაფაში აღინიშნება „AGR99“. ერთი მიმღების მისამართით გაგზავნილი, იმპორტის სასაქონლო ოპერაციისათვის განკუთვნილი წინასწარ დეკლარირებული საქონლისათვის „ყვითელი დერეფნის“ განსაზღვრის შემთხვევაში, როდესაც საქონლის განთავსება ხორციელდება

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმებულ ტერიტორიაზე, დეკლარაციისათვის შეფასების ნომრის მინიჭებამდე გრაფაში მიეთითება „AGR99“.“;

ა.გ) 50-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. მალფუჭებადი საქონლის, ცხოველების, მასობრივი ინფორმაციის შემცველი საქონლის, სტიქიური უბედურებების, ავარიების და კატასტროფების დროს საჭირო საქონლის, წინასწარ დეკლარირებული საქონლის, ექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში დეკლარირებული საქონლის, აგრეთვე საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე სარკინიგზო ტრანსპორტით გადაადგილებული საქონლისა და ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის კუთვნილი/მფლობელობაში არსებული საქონლის გაფორმება ხორციელდება პრიორიტეტული წესით, მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში.“;

ბ) „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „დეკლარირების კლასიფიკატორის“ (დანართი №2) მე-2 ნაწილის („საგადასახადო ორგანოებისა და გაფორმების სხვა ადგილების კლასიფიკატორი“) მე-2 პუნქტის („გაფორმების ეკონომიკური ზონები და გაფორმების სხვა ადგილები“) მე-4 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

4		გაფორმების ეკონომიკური ზონა „ფოთი”:
	11113; 69500; 99113	ქ. ფოთი, ივ. ჯავახიშვილის ქ. №32;
	11113; 69500; 99113	ქ. ფოთი, კოკაიას ხეივანი №1 (მხოლოდ კონტეინერით გადაადგილებული მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებისა და მასში განთავსებული საქონლის გაფორმებისათვის);
	20113	ქ. ფოთი, ივ. ჯავახიშვილის ქ. №32 (მხოლოდ „ოქროს სიის“ მონაწილეთა კუთვნილი საქონლის გაფორმებისათვის);
	69510	ქ. ფოთი, სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დასავლეთ საქართველოს სამმართველოს ქ. ფოთის განყოფილების შენობა;
	69511	ქ. ზუგდიდი, პარიზის კომუნის ქ. №7, სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დასავლეთ საქართველოს სამმართველოს ქ. ზუგდიდის განყოფილების შენობა;
	69555	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ოზურგეთი, სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დასავლეთ საქართველოს სამმართველოს ქ. ოზურგეთის განყოფილების შენობა.

“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

შემოსავლების სამსახურის უფროსი
გიორგი თაბუაშვილი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის

ბრძანება №ნ-17

2017 წლის 31 ოქტომბერი, ქ. თბილისი

მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (IFRS for SMEs) ქართულ ენაზე სამოქმედოდ შემოღების შესახებ

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტისა და მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

1. ქართულ ენაზე სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ მიღებული და გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS for SMEs) მცირე და საშუალო საწარმოებისთვის – 2015 წელი (შემდგომ –სტანდარტი).

2. სტანდარტი განთავსდეს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომ –სამსახური) ვებგვერდზე (www.saras.gov.ge).

3. ამ ბრძანებით სამოქმედოდ შემოღებული სტანდარტი სამსახურის მიერ განახლდეს სტანდარტის მოქმედი ინგლისურენოვანი რედაქციის განახლებიდან 6 თვის ვადაში.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის

ზედამხედველობის სამსახურის უფროსი

იური დოლიძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გამოიწერეთ
გადასახადები

მეწარმეების, საშაღასახაღო ინსპექტორების, აუდიტორების, ბულალტრებისა და ყველა მაღამხღელის უნივერსალური საშამიღო ჟურნალი

ჩვენი რეკვიზიტებია:

მიმღები: შპს ბიზნეს ინტელექტი
მიმღების IBAN ანგარიშის №:
GE21BR0000010893437601

მიმღების მანკი: ს.ს. ბანკი "რესპუბლიკა"
ბანკის BIC კოდი: REPLGE22

2012.gadasaxadebi@gmail.com

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com